პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერწყიდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 9 აგვისტო, 1978 წ. № 186 (17230) ფასი 2 კაპ.

ყველი დღე ვიხმაროთ, რათა უზრუნველყოთ ზუსტი რიტმი მოსავლის აღებისა და საკვების დამზადების პერიოდში. უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, დავამზადოთ საჭირო რაოდენობის საკვები. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოთ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების საძიებელ მუშრომელთა ეკონომიკური განათლების როლის გასაძლიერებლად ბაშკირეთის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბაშკირეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ასრულებენ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებს, გააუმჯობესეს მშრომელთა ეკონომიკური განათლება. ორი წლის მანძილზე სხვადასხვა ფორმის სწავლებაში ჩაბმული მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების ნახევარზე მეტი სწავლობდა პარტიის ეკონომიკურ თეორიასა და სტრატეგიას, სკკპ XXV ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დოკუმენტებს, სსრ კავშირის კონსტიტუციას. ეკონომიკასა და მართვის საკითხებს, მოწინავე საწარმოო გამოცდილებას.

რესპუბლიკის მშრომელთა ეკონომიკური განათლების ორგანიზაციაში შემოქმედებითად იყენებენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, ხვერდლოვსკის, როსტოვის, ჩელიაბინსკისა და ივანოვოს ოლქების გამოცდილებას. პარტიულ კომიტეტებს კონკრეტულ დახმარებას უწევენ სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის, გზათა, ფერადი მეტალურგიის სამინისტროები.

ეკონომიკური სწავლება დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში. ხელს უწყობს შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას, იმ ამოცანების რეალიზაციას, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში. წარმატებით არის შესრულებული ხუთწლედის 2.5 წლის დაკალებანი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 17.6 პროცენტით. გეგმის გადამეტებით წარმოებულია 350 მილიონი მანეთის პროდუქცია. გადიდდა ხარისხისნიშნიანი ნაწარმის გამოშვება გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და შესყიდვა. ეკონომიკის შემსწავლელი მუშაკები უკეთეს შრომითს შედეგებს აღწევენ. აქტიურად მონაწილეობენ წარმოების მართვაში. მეცნიერულ-ტექნიკურ შემოქმედებაში. საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამასთანავე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სრულად არ იყენებენ ეკონომიკური განათლების შესაძლებლობებს სამეურნეო და აღმშენებლობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების. განსაკუთრებით ახალგაზრდების მნიშვნელოვან ნაწილს არა აქვს საკმარი ეკონომიკური მომზადება.

მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ეკონომიკურ მუშაობას, სისტემატურად არ იმაღლებენ ეკონომიკურ და პროფესიულ ცოდნას. რაც ამცირებს კოლექტივების საქმიანობის შედეგებს. ბევრი საწარმო და გაერთიანება ვერ ასრულებს წარმოების გეგმებს ნომენკლატურისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მიხედვით. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნელა იზრდება მოხავლიანობა. მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

სკოლებში და სრემინარებზე მეცადინეობა ხშირად მიმდინარეობს დაბალ დონეზე, მოწყვეტილია წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აქტუალურ პრობლემებს. სუსტად ითვალისწინებენ კოლექტივების კონკრეტულ ამოცანებს. სხვადასხვა კატეგორიის მშრომელთა მუშაობის. სახალხო მეურნეობის დარგების სპეციფიკას.

ბევრი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტი. სამეურნეო ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ კადრების ეკონომიკურ სწავლებას. ნაკლებად ზრუნავენ პროპაგანდისტთა მუშაობის ხარისხის პირობების შექმნისათვის. არ უზრუნველყოფენ მათ ანალიზური მასალებით. გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი მონაცემებით მსმენელთა წინადადებებს ხშირად ფორმალურად განიხილავენ ეკონომიკური მომზადების ორნეს ყოველთვის არ თვალისწინებენ ხელმძღვანელი თანამდებობებზე სპეციალისტთა დაწინაურების. მუშებისა და კოლმეურნეებისათვის ხაკვალიფიკაციო თანრიგების მინიჭების დროს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მშრომელთა ეკონომიკურ განათლებას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტურ მშენებლობაში. და დაავალა სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტს. საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს. პირველად პარტიულ ორგანიზაციებს აღმოფხვრან ეკონომიკურ განათლებაში არსებული ნაკლოვანებანი. ამამაღლონ მისი როლი პარტიის XXV ყრილობის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრისა და 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ეკონომიკის ყოველმხრივი აღმავლობისათვის. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების. კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის. მთელი მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტის. პარტიის სამხარეო. ხაოლქო. ხაოკრუგო. საქალაქო. რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ კადრების ეკონომიკური მომზადების ხელმძღვანელობა, შეიმუშაონ და განახორციელონ მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამამაღლონ პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტების. სამინისტროებისა და უწყებების. სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა სწავლების ორგანიზაციისა და ხარისხისათვის, ეკონომიკური განათლების ხაბჭოების მუშაობისათვის. განუხრელად იხელმძღვანელონ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის იმ მითითებით, რომ პარტიის ეფექტიანობისა და ხარისხის კურსი — ეს არის არა მარტო მიმდინარი ხუთწლედის საკვანძო ამოცანა. არამედ ჩვენი ეკონომიკური და სოციალური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორიც მრავალი წლისათვის. საბჭოთა ადამიანების მთელი თაობის აღზრდის პროგრამა.

ეკონომიკური განათლება ხელს უნდა უწყობდეს თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის მაღალი იდეურობის, ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვას, საგეგმო დისციპლინის განმტკიცებას, წარმოების მართვის ხრულყოფას. ეკონომიკური განათლება, ისევე როგორც კომუნისტური აღზრდის მთელი სისტემა, უნდა ემსახურებოდეს ისტორიული ამოცანის „გადაწყვეტას — განვითარებული სოციალიზმის შესაძლებლობათა სრულ რეალიზაციას.

იმისათვის, რომ იყო ეფექტიანობისა და ხარისხისათვის აქტიური მებრძოლი, დაუცხრომლად და ღრმად უნდა ეუფლებოდე ეკონომიკურ ცოდნას, იმაღლებდე პროფესიულ ოსტატობას. ეკონომიკურ სწავლებაში, ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლაში მაგალითს უნდა აჩვენებდნენ კომუნისტები, წარმოების ყველა რგოლის ხელმძღვანელები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ კომიტეტებს, სამეურნეო ორგანოებს მოსთხოვა იბრძოლონ კადრების ეკონომიკური განათლების თეორიული და მეთოდიკური დონის ამაღლებისათვის, უზრუნველყონ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების, პარტიის გადაწყვეტილებების. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შრომების ღრმა შესწავლა. უფრო სრულად და მკაფიოდ გააშუქონ სოციალიზმის უპირატესობანი. საბჭოთა ადამიანების კონსტიტუციური უფლება-მოვალეობანი. სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანები.

დასახულია ამოცანა გაძლიერდეს ეკონომიკური განათლების პრაქტიკული მიმართულება. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სამეურნეო ანგარიშს. ძირითადი ფონდების. მატერიალური. შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების, თვითღირებულების შემცირების საკითხთა შესწავლას. ეკონომიკის ინტენსიური განვითარების ამ ბერკეტების დაუფლებას.

განუვითარონ მსმენელებს კონკრეტული ეკონომიკური აზროვნება, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობა, უნარი — გამოიყენონ მიღებული ცოდნა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, თითოეულ ხაუშაო ადგილზე პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. შემოქმედებითად შეისწავლონ წარმოების ნოვატორების, შრომითი კოლექტივების მუშაობის გამოცდილება. რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა. ორგანულად დაუკავშირონ ეკონომიკური სწავლება ცხოვრებას, შრომითი კოლექტივების ამოცანებს მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ ეტაპზე.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად რჩევა მიეცით დაარჩარონ მოწინავე საწარმოო გამოცდილების გეგმაზომიერი გამოვლენის. შესწავლისა და დანერგვის შექმნის მეთოდის შემუშავება.

პარტიული კომიტეტები მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ ეკონომიკური ცოდნის პროპაგანდისტთა შერჩევას, სწავლებასა და აღზრდას, განმტკიცებდნენ მათს შემადგენლობას კვალიფიციური სპეციალისტებით, ეკონომიკური სამსახურის მუშაკებით. წარმოების ხელმძღვანელებთ. უნდა მოაწყონ პროპაგანდისტული კადრების რეზერვის სწავლება რაიონულ და საქალაქო სკოლებში. მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში. საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტებზე, კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებში.

სამინისტროებმა და უწყებებმა. სამეურნეო ხელმძღვანელებმა უნდა გააუმჯობესონ კადრების ეკონომიკური სწავლების ორგანიზაცია და გაძლიერონ მისადმი კონტროლი, უზრუნველყონ ხელშემწყობი პირობები პროპაგანდისტთა შემოქმედებითი მუშაობისათვის. შექმნან ეკონომიკური ცოდნის კაბინეტები, აღჭურვონ ისინი ტექნიკური და თვალსაჩინო ხაუშაულებით, ხაცნობარო მასალებით. მოაწყონ თითოეულ კოლექტივში იმ წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების ანალიზი და რეალიზაცია, რომლებსაც მსმენელები სამეურნეო საქმიანობის ხრულყოფის საკითხებზე გამოთქვამენ.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამინისტროს წინადადება მიეცათ გააუმჯობესონ მოსწავლეთა, ახალგაზრდა მუშათა და სპეციალისტთა ეკონომიკური მომზადება, საკავშირო პროფსაბჭოსთან და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად ებრძოლონ ახალგაზრდობის ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის მემკვიდრეობითობისა და თანამიმდევრობის უზრუნველსაყოფად.

დასახულია მომზადდეს პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის, აგრარული თეორიისა და პოლიტიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მეურნეობრიობის სოციალისტური მეთოდების სრულყოფის პრობლემათა ახალი სახეწავლო კურსები.

სსრ კავშირის გამსახკომს, პოლიტგამს, გამომცემლობებს „პრავდასა“ და „პლიკატს“ დაევალათ გაავართიონ სახეწავლო, მეთოდიკური და თვალსაჩინო ხაუშაულებების, წიგნებისა და ბროშურების გამოცემა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, წარმოების მოწინავეთა გამოცდილების შესახებ. „ეკონომიჩესკაია გაზეტას“ რედაქციამ უნდა გააძლიეროს მეთოდიკური დახმარება, განაზოგადოს და გაავრცელოს ეკონომიკური განათლების ხაუკეთესო გამოცდილება.

სსრ კავშირის სახკინოს დაევალა მოაწყოს სახეწავლო ფილმების წარმოება ეკონომიკური განათლების სისტემისათვის. გააუმჯობესოს შინაარსი და გაზარდოს გამოშვება დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინოფილმებისა, რომლებიც ეძღვნება სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, მეურნეობრიობის მოწინავე გამოცდილებას, შრომისა და წარმოების ორგანიზაციას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას.

გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, სსრ კავშირის სახტელერადიოს, სრულიად საკავშირო ხაზოგადოება „ცოდნას“ რჩევა მიეცათ მეტი ყურადღება დაუთმონ მშრომელთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის საკითხებს. მკაფიოდ და ღრმად გააშუქონ პარტიის ეკონომიკური სტრატეგია, ეკონომიკური სწავლების ორგანიზაციის გამოცდილება, მისი როლი ხუთწლედის შესრულებისათვის, მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

დამკვრელურ დღეთა მძლავრი რიჯმი

პირველ ადგილზე

ქუთაისი. (ხაკ. კორ.). სასიხარულო ცნობა მოიღეს ამ დღეებში მოსკოვიდან ლუდისა და ხილეულ წყლების კომბინატში. მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით კომბინატის კოლექტივი გამარჯვებული გამოვდა თანამოსაჯიქეთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში და გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა.

ლუდისა და ხილეული წყლების კომბინატში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მესამე დამკვრელური წლის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. 6 თვეში გეგმის გადამეტებით წარმოებულია 89 ათასი მანეთის პროდუქცია, გასული წლის ანალოგიური პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობა 10 პროცენტით გაიზარდა.

კომბინატის კოლექტივმა (დირექტორი — რ. დალალიშვილი) დიდი წარმატებით იმუშავა ივლისშიც. მთლიანი პროდუქციის წარმოების დავალება 108,3 პროცენტით შესრულდა, ხოლო რეალიზაციისა — 102,6 პროცენტით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არ თმობენ ლუდისა და ხილეული წყლების ჩამოსასხმელი საამქროები, ალბერტ ბაბიკაძე ხელმძღვანელობენ.

„პრავდის“ ფურცლებზე

რუბრიკით „მოსავალი-78: ზრდის რეზერვები“ გაზეთი ბეჭდავს უზბეკეთის მეწარმოებელთა შრომითი სქმეების შესახებ, რომლებმაც გაზრდილი გალდებულებები იკისრეს — ხუთწლედის მესამე წელს აწარმონ 1.150 ათასი ტონა ბოსტნეული და 190 ათასი ტონა კარტოფილი.

პარტიული მუშაკი... როგორია იგი? როგორი უნდა იყოს იგი თანამედროვე პირობებში? ამ საკითხზე მსჯელობენ წერილების აეტორები, რომლებიც გამოუხმაურნენ გაზეთის ახალ რუბრიკას **„პარტიული ცხოვრება: საქმე, რომელსაც ემსახურები“.**

ბევრნი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ პარტიული მუშაკი — ეს მარტო ის ადამიანი როდია, რომელიც პარტიულ კომიტეტში შტატის მუშაკად ითვლება. იგი შეიძლება იყოს, ზეინკალი ან აგრონომი, მასწავლებელი ან მძღოლი. აი მაგალითად, მუქადელი თეოდორე ლეონტის ძე კურილო, რომლის შესახებაც მოგითხრობთ უკრაინის ქ. ჟოლობილოგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის **ა. ლიახოვის** წერილი **„მუქადელი ხაქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი“.**

რუბრიკით **„მართვა—მეცნიერება და პრაქტიკა“** გაზეთი მკითხველებს სთავაზობს წერილს **„ხერვისის ელექტრონული შტაბი“.** მასში აღიარულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და ელექტრო-გამომთვლელი მანქანების ფართოდ გამოყენების აქტუალური საკითხები.

გაზეთის მეორე და მესამე გვერდებზე გამოქვეყნებულია აგრეთვე მასალები. რუბრიკებით: **„სატრფული კალმით“, „ვუბრუნდებით დაბეჭდილს“, „პრესის მიმოხილვა“** და სხვა.

როგორც ყოველთვის, მეოთხე-მეხუთე გვერდები საერთაშორისო ცხოვრების ამბებს ეთმობა. აქ მკითხველს უთუოდ დაინტერესებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის [illegible] ინსტიტუტის [illegible] ელინეს სტატია „ადამიანი [illegible] ეროგორ - ჯალეთის [illegible] საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს).

კლიაზმის წყალსაცავში საწარმოო გამოცდას გადის ამფიბიური კატარღა საჰაერო ბალიშზე, რომელიც ჩვეულებრივი ჰაერის რეაქტიული ნაკადით მუშაობს. დაწვრილებით, თუ რას წარმოადგენს იგი, შეიტყობთ ჯ. ბარიშევის რეპორტაჟიდან **„001 ბარებს გამოცდას“.**

გაზეთის მეექვსე გვერდი თითქმის მთლიანად ეთმობა ხელოვნებას საკითხებს რუბრიკით **„ხელოვნების ხამყარო“.**

ამას წინათ მოსკოვის კ. ს. სტანისლავსკისა და ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნა გერმანელი კომპოზიტორის გეორგ კატცერის ბალეტი „შავი ფრინველები“. დადგმა ეკუთვნის ბერლინის „კომიშე ოპერის“ მთავარ ბალეტმეისტერს პროფესორ ტომ შილინგს. ამის შესახებ წერს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი **ნ. შერეშეტიევსკაია** წერილში **„შეაჩერეთ შავი ფრინველები“.**

კორესპონდენციაში **„კოლექცია შეიკსო“** ნათქვამია, რომ ამას წინათ ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს კიდევ სამი ფიზითი ნაწარმოები შეემატა, რომლებიც მუზეუმს გადასცა ასტრახანის თეატრის მეურნეობის ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა პეტუელმა ხორხი ვილიერმო ჩამორომ.

გაზეთის ფურცლებზე უხვად არის დაბეჭდილი აგრეთვე ჩვენი ქვეყნის, საერთაშორისო და სპორტული ამბები.

ПРАВДА

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომბაინერთა შეჯიბრება

ვინც თავი ისახელა

შ. კობიაშვილმა ბოლნისის რაიონის რატევნის საბჭოთა მეურნეობაში გუშინ 8 ჰექტარის ნაცვლად 12 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 29 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ჯ. ჯალილოვმა ამავე რაიონის ამავე საბჭოთა მეურნეობაში 9 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო და თითოეულ ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ხ. დავიდოვმა ამავე რაიონის ქვეშის საბჭოთა მეურნეობაში გუშინ 10 ჰექტარი პურეული მომკა და ამით დღიურ ნორმას 2 ჰექტარით გადაჭარბა, საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ო. ანესაშვილმა გორის რაიონის ხელოვნების კოლმეურნეობაში 12 ჰექტარი პურეული მომკა და ამით დღიურ ნორმას 4 ჰექტარით გადაჭარბა, საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ვ. პაპაშვილმა თეთრი წყაროს რაიონი ჯორჯიაშვილის საბჭოთა მეურნეობაში გუშინ 11 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

დარგში საუკეთესო

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრომ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო თბოელექტროსადგურებს შორის დასახელა თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის ხახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, რომელიც წარმატებით უზრუნველყო ელექტროდატვირთვა 1977-78 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, არ ჰქონდა შეფერხებები მოშმაობაში, გამოიმუშავა ვადამდე ჯათვალწინებულზე ბევრად მეტი ენერგია.

თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის კოლექტივი ამ წლის შემოდგომის ბრძოლაში ინარჩუნებს ინიციატივას.

ამოწინავე ბრიგადა

თბილისის აბრეშუმის ხაწარმოო გაერთიანების მეთაური ხაწარმოს, მჩოველთა ის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც მ. მიქაბერიძე ხელმძღვანელობს, სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ ხაუკეთესოდ ხაქსოვ ხაამქროში. ამ მეგობრულმა კოლექტივმა ვადამდე შეასრულა შვიდი თვის დავალება. ბრიგადამ ვალდებულება იკისრა ხუთწლედის სამი წლის დავალება 29 ოქტომბრისათვის — სრულიად საკავშირო ალკკ იუბილეს დღისათვის შეასრულოს. **სურათზე:** (მარცხნიდან) მჭოველები ნ. ალდგომელაშვილი, ი. ქურდიანი.

გაუმჯობესდა ხარისხი

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — რკინიგზელთა საკავშირო დღეს მნიშვნელოვანი შრომითი წარმატებებით შეხვდა დედაქალაქის ტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა.

საერთო პროდუქციის წარმოების იანვარ-ივლისის დავალებას აქ 199 ათასი მანეთით გადაჭარბეს, რეალიზაციის დავალების გადამეტებით რეალიზებულია 178 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდამ გასული საიუბილეო წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11,1 პროცენტს მიაღწია.

საგრძნობლად გაუმჯობესდა საავტომობილო-სარემონტო საამქროს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, რასაც დიდად შეუწყო ხელი ახალ კორპუსში გადასვლამ, სადაც ყველა შეკეთებითი სამუშაო კონვეიერული სისტემით ხდება.

ელექტროვაგონშემკეთებელთა დამკვრელური წლის მიღწეული წარმატებები ამ ეტაპზე ბევრად განაპირობებს ზეინკალ გ. ბებიას, ხარატ ზ. ფირცხალაიშვილის, მწნეხავ ნ. სახარულიძის და საწარმოს მოწინავე დამრიგებლის ვ. ქართველიშვილის თავდადებულმა შრომამ. ბრიგადებს შორის დაწინაურდა ელექტროზეინკალთა ის ბრიგადა, რომელსაც გულნარა ბარნოვი ხელმძღვანელობს.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ხალხის ნებასა და ინტერესებს გამოხატავენ საბჭოთა კანონები. საკანონმდებლო საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვნად გააქტიურდა უკანასკნელ წლებში, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ერთ-ერთი მიმართულებაა. რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მორიგი სესიის დღის წესრიგში შეტანილი იყო საკითხები რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და რუსეთის სფსრ ტყის კოდექსის კანონის პროექტების შესახებ, აგრეთვე რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დამტკიცების საკითხი.

რუსეთის ფედერაციის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია გაიმართა 3 აგვისტოს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს ი. ვ. ანდროპოვს, ა. პ. კირილენკოს, კ. ტ. მაზუროვს, გ. ვ. რომანოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, მ. ვ. ზიმიანინს, ა. პ. რიაბოვს, კ. ვ. რუსაკოვს.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. რუსეთის სფსრ კანონის პროექტის თაობაზე მოხსენება გააკეთა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს ამ კანონის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ფ. სოლოვიოვმა. მან აღნიშნა: კანონპროექტის განმსაზღვრელი ნიშანია ის, რომ მასში განმტკიცებულია ნორმათა ერთიანობა, რომლებიც აწესრიგებენ არჩევნების მომზადებისა და მოწყობის მთელ წესს. ამ დოკუმენტის შინაარსი გამსჭვალულია ზრუნვით ამისათვის, რომ საჭირო პირობები შეექმნას, რათა მოქალაქეებმა განახორციელონ თავიანთი საარჩევნო უფლებები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება არჩევნების მომზადებასა და მოწყობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეების როლს.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მიღება, თქვა მომხსენებელმა, იქნება ამის ახალი სტიმული, რომ განვითარდეს მშრომელთა აქტიურობა. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, დაადასტურებს საბჭოთა ხალხის მონოლითური შეკავშირებას კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

კამათის მონაწილე დეპუტატებმა წინადადება წამოაყენეს მიიღონ კანონი არჩევნების შესახებ. თანაც ხაზი გაუსვეს, რომ იგი ხელს შეუწყობს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფორმირებასა და საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების შემდგომ განვითარებას, საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო აქტიურად ჩავაბათ მშრომელთა მასები საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმეების მართვაში.

კანონი რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ ერთხმად მიიღეს.

მოხსენება რუსეთის სფსრ ტყის კოდექსის პროექტის შესახებ გააკეთა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. ი. ფილატოვმა.

ჩვენს რესპუბლიკაში, თქვა მომხსენებელმა, თავმოყრილია ქვეყნის ძირითადი ტყის რესურსები. რუსეთის სფსრ ტერიტორიაზეა საბჭოთა კავშირის ტყეების საერთო ფართობის 95 პროცენტი და მერქნის სანედლეულო მარაგის 96 პროცენტი.

რუსეთის სფსრ ტყის ახალ კოდექსში განმტკიცებულია პრინციპული დებულებანი ტყეზე სახელმწიფო საკუთრების უფლების, ტყის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესახებ, ალინდება ადგილობრივი სახალხო დეპუტატთა საბჭოების კომპეტენცია, ვითარდება და ძლიერდება ტყის სიმდიდრეთა წარმოებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმები.

კოდექსის პროექტი ფართოდ ასახავს გარემოს დაცვის, მასზე ხამრეწველო ნარჩენების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, ტყეთ სარგებლობის მოწესრიგების, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის საკითხებს.

დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგის ეს საკითხი და ერთხმად მიიღეს კანონი რუსეთის სფსრ ტყის კოდექსის დამტკიცების შესახებ.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ხ. ბ. ნეშკოვის მოხსენების მიხედვით სესიამ დაამტკიცა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

რუსეთის სფსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ ამით მუშაობა დაამთავრა. (საკდესი).

საკდესის ცნობა

მიფრინავს „პროგრეს-3“

„სალუტ-6“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ხანგრძლივი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პროგრამის შესაბამისად 1978 წლის 8 აგვისტოს, მოსკოვის დროით 1 ხაათსა და 31 წუთზე, საბჭოთა კავშირში გაუშვეს ავტომატური სტანდარტო სატრანსპორტო ხომალდი „პროგრეს-3“.

„პროგრეს-3“ ხომალდის გაშვების მიზანია „სალუტ-6“ სადგურში მიიტანოს სხვადასხვა ტვირთი, მათ შორის —კოსმონავტთა სიცოცხლის უზრუნველყოფისა და მეცნიერული კვლევის განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობა, აპარატურა, მასალები, აგრეთვე ფოტო. ფრენის დროს განხორციელდება ავტომატური სტეგირთო ხომალდის კონსტრუქციის, საბორტო სისტემებისა და მოწყობილობის ელემენტების შემდგომი დახვეწა.

სატრანსპორტო ხომალდი „პროგრეს-3“ გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 249 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 195 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 88,7 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, „პროგრეს-3“ ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

ასე ზრუნავენ

პარტიული ორგანიზაციები და მეშახტეთა საყოფაცხოვრებო პირობები

უნ დღეს ჩვეულებრივად დაიწყო ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის პარტიულ კომიტეტში. მისმა წევრებმა დილით სამეშოს დაწყებამდე უკვე მოასწრეს ხალიჩასლოტაციო უბნების შემოვლა, სანგრევში მიმავალ მუშებთან გასაუბრება. ზოგიერთი მათგანი ტექნიკური მომარაგების მდგომარეობით დაინტერესდა, ზოგმა ითხოვა, სამრეცხაო-საშრობის გამართულ მუშაობას და ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან საკითხს მიაქცია ყურადღება. თვითონ პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. ქოჩიაშვილმა საწარმოს ეკონომ წოდებულ ნოშერ პირველ საამქროში — სალაღლოში შეიარა, კერძების ხარისხით დაინტერესდა, მუშებს, მზარეულს და სასადილოს მასუხისმგებელ მორიგეს, გაესაუბრა, ბლოკოფოში შენიშვნები, სურვილები, წინადადებები ჩაინიშნა...

უამრავი საქმე აქვთ ახლა შახტის პარტკომ კომიტეტს, თითოეულ კომუნისტს. მათი უპირველესი საზრუნავია საკრესე ქვანახშირის მოპოვების ტემპის ზრდა. ხოლო იმაზე, თუ როგორ ირთმევენ თავს ამ საქმეს, ასეთი ცოფრაც მეტყველებს: შარშან შახტის კოლექტივმა 40 ათასი ტონა ზეგეგზითი ქვანახშირი მისცა სამშობლოს. მეშახტეები მეათე ხუთწლეულის მესამე დაჩქარებულ წელშიც კარგ წარმატებას აღწევენ. აღსანიშნავია, რომ აქ ყველა მეშახტე გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის მონგრევის ყოველდღიურ ნორმებს. რუსთაველ მეტალურგთა მოწოდება — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!“ — აქ რეალურ, პრაქტიკულ საქმედ იქცა.

ლენინელ მეშახტეთა ეს ბოლოდროინდელი წარმატებები, რა თქმა უნდა, თავისით არ მოსულა. იგი შახტის კოლექტივის თითოეული წევრის ყოველდღიური თავდადებული შრომის შედეგია. მაგრამ ყოველივე ამაში განსაკუთრებული როლი შახტის პარტორგანიზაციამ, კომუნისტებმა შარტიულმა კომიტეტმა შეასრულეს. ამ წარმატებებს ხელი შეუწყო იმანაც, რომ პარტიული კომიტეტი წარმოების ბევრ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ მეშახტეებს ჰქონდეთ არა მარტო ნაყოფიერი მუშაობის, არამედ კულტურული დასვენება — გართობის, ყოფაცხოვრების, სათანადო პირობებიც, რომ ისინი, არა მარტო მუშაობისას იყვნენ უურადღებით გარემოსილი, არამედ სამსახურის შემდეგაც გრძნობდნენ გამუდმებულ ზრუნვას შახტის ხელმძღვანელობისა და პარტიული კომიტეტის მხრივ...

მეშახტეთა ყოფილდღეობის ამაღლებისათვის, მათი ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნავ კომუნისტების, პარტიული კომიტეტის ყველაზე მთავარ, ყველაზე დიდ საქმედ იქცა. ეს აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიმჩნევა, ამ მხრივ ბოლო 4-5 წლის განმავლობაში განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა.

მაგალითად, შახტის ტერიტორიაზე კალინინის ქუჩაზე აშენდა მუშათა ახალი უბანი, საღაც 200-ზე მეტმა მეშახტის ოჯახმა მიიღო ნათელი და ფართო საცხოვრებელი ბინა. მარტო შარშან 120 მეშახტის ოჯახმა ახალშესახლება, ხოლო სულ მალე კიდევ 120 მეშახტის ოჯახი შესახლდება ახალ ბინებში.

მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის გაჩაღებულ მუშაობის აქ ცხოველყოფელი იმპულსი მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებამ. აქაური კომუნისტებს დიდხანს არ დაავიწყდებათ პარტიული კრება, რომელიც ამ პლენუმის შედეგების განხილვას მიეძღვნა. ამ კრებაზე კომუნისტების მიერ წამოყენებული ბევრი მტკივნეული საკითხი პარტიული კომიტეტის უშუალო ჩარევითა და დახმარებით დადებითად გადაწყდა. მაგალითად აშენდა თანამედროვე ტექნიკითა და ავეჯით აღჭურვილი 110-ადგილიანი სასადილო, მუშათა კვების გაუმჯობესების მიზნით პარტიული კომიტეტის მოთხოვნით ამას წინათ აღმინისტრაციამ ულ-საყოფაცხოვრებო შენობაში გაიხსნა ბუფეტი. გადაისინჯა საკვებ ობიექტების განლაგების საკითხი. ჯალალინის ქუჩაზე დაიდგა სასურსათო საქონლის პავილიონი. ახლა მიმდინარეობს სამრეწველო და სასურსათო მაღაზიების რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები, შენდება ლუდის ბარი და სხვ.

ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს პარტიული კომიტეტი რეგულარულად განიხილავს თავის სხდომებზე და გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გადაუდებელ ღონისძიებებსაც ახორციელებს. მაგალითად, შემოვიდა სიგნალები სავაჭრო ქსელში უწესრიგობაზე — ფასების დამახინჯებაზე, მომსახურების დაბალ კულტურაზე, ანტისანიტარიაზე და სხვ. გადაწყდა საკითხი პარტიული კომიტეტის სხდომაზე განეხილათ. სასწრაფოდ გამოიყო კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მოწინავე ვეტერანმეყვანი, პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის წევრი ხ. ბერსაკაია. კომისიის წევრებმა გულდასმით შეამოწმეს სავაჭრო ობიექტები. გამოვლინდა დარღვევები. პარტიულმა კომიტეტმა თავის სხდომაზე პრინციპულად იმსჯელა ამის თაობაზე. სხდომის მოთხოვნით № 15 მაღაზიის გამაყოფელი ნ. ბებიაშვილი ფასების დამახინჯებისათვის ჩამოაქვეთეს თანამდებობიდან გარკვეული ვადით, ხოლო ამავე მაღაზიის გამგე ა. ქასრაშვილი სამუშაოდან გაათავისუფლეს.

შახტის სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები სერიოზულად დაფიქრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე მკაცრმა გაფრთხილებამ იმის შესახებ, რომ ადამიანის კეთილდღეობა უნდა გახდეს ჩვენი მთავარი ყველაზე დიდი საქმე და საზრუნავი. ამიტომ გადაწყდა უახლოეს დღეებში ერთხელ კიდევ საფუძვლიანად შემოწმდეს საზოგადოებრივი კვების ქსელი.

პარტიული კომიტეტი ჯერიგან ყურადღებას აქცევს შახტის ტერიტორიაზე განლაგებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებას ამ საფრთხეებზე. ეს აქ ყველ ფეხის ნაბიჯზე შეიმჩნევა, ამ მხრივ ბოლო 4-5 წლის განმავლობაში განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა.

მაგალითად, შარშან წლის პირველ ნახევარში მუშათა კლუბმა, რომელიც შახტის დასახლების ცენტრში მდებარეობს, შეასრულა მუშაობა. აქ რეგულარულად არ უჩვენებდნენ ფილმებს, ცუდად მუშაობდა თეთრმოქმედი წრეები, ჩაიშალა სასექციო მუშაობა...

შახტის პარტიულმა კომიტეტმა თავის სხდომაზე განიხილა ეს საკითხი და საქმის ვითარების შესწავლა სამ აქტივისტ კომუნისტს ტ. ჭიქაბერიძეს, მ. ზვიადაძეს და ვ. ბეშენაძეს დაავალა. საკითხის შესწავლის შემდეგ კლუბის დირექციის მოუქნელი მუშაობა. პარტიული კომიტეტის მორიგი სხდომის მსჯელობის საგანი გახდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად, სხდომის გადაწყვეტილებით. გადახალისდა კლუბის დირექციის შემადგენლობა, დაკომპლექტდა სექციები და თვითმოქმედი წრეები, შეიქმნა ქართული ხალხური საკრავების ანსამბლი, რომელმაც კარგი საკონცერტო პროგრამა მოამზადა და კლუბის სცენაზე და მეშახტეთა კულტურის სასახლეში რამდენიმე კონცერტიც გამართა...

ფეზჯულტურა და სპორტი ადამიანის ჯანმრთელობის გაკაჟების კარგი საშუალებაა. ასეულ გულშემატკივარს იზიდავს ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი, საჭიდაო ხალიჩა, ჭადრაკსა და შაშმის შეჯახება. აქ სპორტულ წრეებში 300-მდე კაცია გაერთიანებული.

შახტიერი კომიტეტის მეთაურობით შახტაში შესანიშნავად არის დაყენებული პოლიტიკური, ეკონომიკური, კომკავშირული სწავლების საქმე. ყოველი თვის პირველი და მეორე ოთხშაბათი აქ ერთიანი სწავლების დღედ არის გამოცხადებული. ამ დღეს ნაყოფიერად მუშაობს 10 პარტიული და 2 კომკავშირული წრე, რომლებშიც 350 კაცია გაერთიანებული. დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდით 200 კაცი. იმაღლებს ცოდნის დონეს. ამ დღეებში აქ შეიქმნა სამართლისმცოდნეობის საკითხების შემსწავლელი სახალხო უნივერსიტეტი.

დიახ, გაკეთებული ძალიან ბევრია, მაგრამ ეს არ კმარა. საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის ყოველი მუხლი ხომ მშრომელი ადამიანის კეთილდღეობის, მისი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ზრუნვაა ორიენტირებული. ამიტომაც ლენინის სახელობის შახტის პარტიულმა ორგანიზაციამ, მისმა პარტიულმა კომიტეტმა მეტი უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ უფრო ნაყოფიერი, შინაარსიანი, შემძლებელი გახდეს მეშახტეთა ცხოვრება.

ვ. ციბრეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალი კანონი

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების ცხოვრებაში დამკვიდრების დღის წესრიგში დაყენება ბევრი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო იქნის მიღებას საქმეებელობა.

„კონსტიტუციის მიღება, — აღნიშნავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი თავის საბოლოო სიტყვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1977 წლის 7 ოქტომბერს, — მოითხოვს მეელი რიგ ცვლილებისა და დამატებათა შეტანას მიმდინარე კანონმდებლობაში. ამ მუშაობას გარკვეული დრო დასჭირდება, მაგრამ არ უნდა გავიჭიანუროთ“.

სწორედ ამ ზნაზე ლ. ი. ბრეჟნევის მითითების შესაბამისად შეიმუშავდა საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების მიერ საკანონმდებლო საქმიანობის ფართო პროგრამა, რომელიც წარმატებით ხორციელდება. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მეცხრე სესიის მიერ მიღებული და დამტკიცებული ასეთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტები, როგორიც არის კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ, კანონი სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, მათი შესრულების, გამოქვეყნებისა და რეგისტრაციის, აგრეთვე ლენინური ეროვნული წესი, რომელმაც მსოფლიო საბრძოლო ეროვნული ცვლილებების, გათვალისწინებით, ერთიანი კანონის ძალა მინიჭა საბჭოთა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს.

საბჭოთა საარჩევნო სისტემის კონსტიტუციური მოთხოვნების დაკონკრეტების და განვითარების შედეგია აგრეთვე კანონი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

აღნიშნული კანონი მოიცავს ნორმებს, რომლებიც არეგულირებს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 96-ე მუხლის თანახმად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება აირჩიოს ექვსი სრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი. ახალი კანონი არა მარტო აწესებს, არამედ ამასთან ადგენს დაიგა. საბჭოთა ქვეყნის გაბრდილი საერთაშორისო ავტორიტეტის მაჩვენებელია ეგრეთვე საგარეო ურთიერთობის განვითარება „კაპიტალისტურ და განვითარებადს ქვეყნებთან. საბჭოთა კავშირს ამჟამად ასეთი ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 118 ქვეყანასთან და ფლობ-ბულია ეროვნულ ფიზიკურ მაჭინაციასთან, რაც ორიგინალი აქვეს ბერიოდულია „კონსტიტუციებით ... ...

დიდმნიშვნელოვანი ეტაპი

საკანონმდებლო საქმიანობის ფართო პროგრამა

საათვის თითქმის ათი ათასნაირთაშორისო ხელშეკრულების და შეთანხმების მონაწილეა. სწორედ ამ საკითხებს არეგულირებს ზემოთ აღნიშნული კანონი, სადაც მკაფიოდ და ამომწურავად არის ჩამოყალიბებული საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, მათი შესრულების, გამოქვეყნებისა და რეგისტრაციის, აგრეთვე ლენინური ეროვნული წესი, რომელმაც მსოფლიო საბრძოლო ეროვნული ცვლილებების, გათვალისწინებით, ერთიანი კანონის ძალა მინიჭა საბჭოთა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს.

საბჭოთა საარჩევნო სისტემის კონსტიტუციური მოთხოვნების დაკონკრეტების და განვითარების შედეგია აგრეთვე კანონი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

აღნიშნული კანონი მოიცავს ნორმებს, რომლებიც არეგულირებს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 96-ე მუხლის თანახმად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება აირჩიოს ექვსი სრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი. ახალი კანონი არა მარტო აწესებს, არამედ ამასთან ადგენს დაიგა. საბჭოთა ქვეყნის გაბრდილი საერთაშორისო ავტორიტეტის მაჩვენებელია ეგრეთვე საგარეო ურთიერთობის განვითარება „კაპიტალისტურ და განვითარებადს ქვეყნებთან. საბჭოთა კავშირს ამჟამად ასეთი ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 118 ქვეყანასთან და ფლობ-ბულია ... ...

„კომეტა“

— ზღვების მშვენება

- „კომეტამ“ აჯობა „დედოფალ მარგარიტას“.
- ფოთელთა ნახელავის მსოფლიო ადიარება



ადამიანის თვალს აქ ყოველთვის იტაცებს ზედ ზღვასთან გემბარიხებზე ჩამწკრივებული თეთრად მოქთქთე თბომავლები. ეს წყალქვეშა ფრთიანი გემები, რომლებიც „კომეტის“ სახელით არის დღეს ხაუოველთაოდ ცნობილი, ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემშემკეთებელი ქარხნის მშრომელთა ნახელავია.

მათმა კეთილმოწყობილმა გემმა თავისი საცურაო და საექსპლოატაციო თვისებებით აჯობა ინგლისურ გემს „დედოფალ მარგარიტას“ და ყველგან დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ფოთელი გემმშენებლები მეათე ხუთწლეულის ვადამდე შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან და ყოველთვის მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ.

სურათებზე: „კომეტა“ მზად არის უცხოეთში გასაგზავნად; ზემოთ — სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული, საამქროს უფროსი ომარ წულაია (მარცხნივ) და გემის ამშენები ანზორ ბალდუერია.

ი. ბოხოლელიძის ფოტო.
(ხაქინფორმის ფოტოკორესპ.).

გულია მასპინძლის გასაჭირი

კურორტი და დამსვენებელი

კურორტი ბორჯომი დიდი სტუმართმოყვარეობით ეგებება ყოველ კუთხიდან ჩამოსულ ავადმყოფ-დამსვენებლებს. ვინ მოთოლს, ამ მადლიან ხეობაში, რამდენი კაცი განუკურნავთ და რამდენს აღუდგენია საზოგადოებრივ შრომაში დახარჯული ჯან-ღონე. შარშან, მარტო პროფკავშირების ბორჯომის სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში 51.280 კაცი მიიღეს და უმასპინძლეს, წელს იგლისის ბოლოს კი დამსვენებელთა რიცხვმა (ამავე დაწესებულებებში) უკვე 20.731-ს გადაჭარბა. ბორჯომში ჩამომსვლელთა რიცხვი ყოველდღე, ყოველ საათს მატულობს. ახლა აქ ავადმყოფ-დამსვენებელთა დიდი მოზღვავებაა, მათი მომსახურების ცხარე დღეებია.

წლევანდელ საკურორტო სეზონის ნაყოფიერად ჩატარებისათვის ბორჯომის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, თითქმის ყოველმა ბორჯომელმა, ვისთვისაც ძვირფასია კურორტის სახელი და ღირსება, ყველაფერი იღონეს, რომ აქ ჩამოსული სტუმარი მინ კმაყოფილი ბრუნდებოდეს.

სანატორიუმ „ლიკანში“ ამოქმედდა ახალი სამკურნალო კორპუსი. მწყობრში ჩადგა 300-ადგილიანი კინო-საკონცერტო დარბაზი. კაპიტალურად შეკეთდა პირველი და მეორე კორპუსები, პანსიონატი „ეკიზობი“ და სანატორიუმი „ფირუზა“.

ეკიზობში აშენდა ექვსი საბაფეტო კოტეჯი და საწოლების ფონდი 120 ერთეულით გაიზარდა. აქვე ამუშავდა ახალი სასადილო (ერთდროულად 200 დამსვენებლისათვის), სამკითხველო და გასართობი ოთახი პატარებისათვის.

ექსპლოატაციაში შევიდა პოლიკლინიკის ახალი კორპუსი (გამტარიანობა — 1000 ავადმყოფი), რომელშიც მოთავსდა სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები...

უფრო თვალწარმტაცი გახდა ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. მის მიდამოს შნოსა და ლაზათს მატებს მცირე არქიტექტურული ნაგებობანი, სკვერები და ეგზოტიკური კუთხეები.

საზაფხულო საკურორტო სეზონისათვის მზადებისას ერთგვარი მუშაობა გასწიეს მომსახურების სფეროს მუშაკებმაც. ნაწილობრივ ან კაპიტალურად შეკეთდა ზოგიერთი სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი.

შეიძლება ითქვას, რომ წელს ბევრი რამ გაკეთდა კურორტზე ავადმყოფ-დამსვენებელთა კულტურული დასვენებისა და მომსახურებისათვის, მაგრამ არსებული მდგომარეობა უფლებას რომ გვაძლევს ბზარ-თეძოზე წამოვწეთ და თვითდამშვიდებას მივეცეთ, რადგან ავადმყოფ-დამსვენებელი რომ ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და დამშვიდებული იყოს, ამის ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ...

რაკი დამსვენებლისთვის მთავარი მაინც მომსახურების სფეროა, ჩვენც აქედან დავიწყებთ

კურორტვაჭრობის სისტემაში მხოლოდ 7 ობიექტი შეკეთდა, ობიექტების დიდ ნაწილს კი რეკონსტრუქცია ან აღდგენა სჭირდება. ამის შესახებ აცნობეს კიდევ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია.

საზოგადოებრივი კვების ობიექტები თითქმის იმდენივე დასაჯდომია, რამდენიც შარშან იყო. ზოგან უხეშად ირღვევა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. იმ ფართეზე, სადაც ერთი მაგიდა უნდა იდგეს, ორი დაუდგამთ, დამსვენებლები ერთმანეთს გვერდს ძლივს უკლინან.

ესეც არ იყოს, კურორტი სათანადოდ ვერ მარაგდება სურსათსანოვაგით. სტაფილო 20 ივლისამდე დეფიციტი იყო. ამ და სხვა მიზეზების გამო ირღვევა კერძების რეცეპტურა და ასორტიმენტი.

ფონდების აუთვისებლობა გამოწვეულია მომწოდებელი ორგანიზაციებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უკმაწილობით. კურორტვაჭრობა და რაიკოოპერატივი მწვავედ განიცდიან სასაწყობო-სამაცივრო მეურნეობების სმაცივრეს. ამიტომ ქსელში ხმირად ვერ შემოაქვთ ისეთი პროდუქცია, რომელიც ძალე ფუჭდება. წელს რაიკოოპერატივმა ამის გამო მომხმარებელს დააკლო 6,9 ტონა თევზი და 14,5 ათასი პირობითი ქილა თევზის კონსერვი, 12,9 ტონა საკონდიტრო ნაწარმი და სხვა პროდუქტები.

ვერ ითვისებს აგრეთვე 217.000 მანეთის სამრეწველო საქონელი.

კურორტვაჭრობამ „საქმაკალეთის“ თბილისის ბაზიდან ვერ მიიღო 21,3 ათასი პირობითი ქილა მურაბა. რუსთავის ალაოსა და ხელის წყლების კომბინატმა ხომ რეკორდი დამყარა, მათ შარშან ბორჯომის დამსვენებელს დააკლეს 14,2 ათასი დეკალტრი ლუდი. ბორჯომელებს ეგონათ, რომ რუსთაველები შარშანდელ ცოდვებს წლეულს მოინანიებდნენ, მაგრამ შემოწმების დღეს მიღებული არ ჰქონდათ 9 ათასი დეკალიტრი ლუდი.

კურორტვაჭრობისა და რაიკოოპერატივის წყალი გადაესხა ბორჯომის „ხილბოსტნეულვაჭრობასაც“. ეს ორგანიზაცია საქმიანობას შარშან შეუდგა. არც მას აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არადა 5000 კვადრატული მეტრი სამაცივრო და სასაწყობო მეურნეობა ისევე სვირდება, როგორც კურორტს ხილ-ბოსტნეული. სხვაგვარად დამსვენებლის ამ საჭირო პროდუქტებით შეუფერხებელი მომარაგება არ მოხერხდება. ვერც ამ ორგანიზაციის სავაჭრო ობიექტების რაოდენობა აკმაყოფილებს კურორტის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ბორჯომის რაიაღმასკომმა ეს მდგომარეობა გაითვალისწინა და თავისი დადგენილებით კარგა ხანია „ხილბოსტნეულვაჭრობას“ კიროვის ქუჩაზე 200 კვადრატული მეტრი ფართობი გამოუყო, მაგრამ ეს მაღაზია დღემდე არ გახსნილა. ისე კი, ცოდვას ვერ ვიტყვით — ტექნიკური დოკუმენტაცია შეუდგენიათ, ერთი ეგ არის, რომ ვიღაცა ნამეტანი გულმავიწყი ყოფილა.

აქაც უნდა გთქვათ მომწოდებელი ორგანიზაციების უპასუხისმგებლობაზე. სხვაგვარად რით უნდა ავხსნათ ის მდგომარეობა, რომ გარდაბანიდან დამსვენებელს დააკლდა 10 ტონა, ვანიდან კი 20 ტონა კიტრეული ხილი. ამ რაოდენობის დაბრუნების გაერთიანებებს. ბორჯომიდან შეახსენეს კიდევ, მაგრამ მათ პასუხის გაცემაც კი არ იკადრეს. ო

... ...

... ...

ბ. ... ...
„... ...“ ... ...

... ...

ა. ... ...
... ...

12-13 აგვისტოს ტყეების
რესპუბლიკური დათვალიერება

ტყე — ჩვენი საზრუნავი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 10 მაისის დადგენილებით დაწესებულია ტყეების რესპუბლიკური დათვალიერება.

ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა დათვალიერების დებულება.

ტყეების დათვალიერება-შემოწმება მასობრივი ხასიათისა იქნება. მასში მონაწილეობას მიიღებენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერება, ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და მეტყევე სპეციალისტები.

დათვალიერება მოიწყობა აგვისტოს მეორე შაბათის და კვირას. მან ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკის ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ მოვლას, დაცვასა და მერქნის რაციონალურ გამოყენებას.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის ისტორიაში პირველად ეწყობა ტყეების დათვალიერება. ამ ღონისძიების განხორციელება ნათლად მოწმობს იმ დიდ ზრუნვასა და ყურადღებას, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა იჩენენ საქართველოს ტყეების მდგომარეობისა და სატყეო მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

რესპუბლიკის ტერიტორიის 38,8 პროცენტი ტყით არის დაფარული და ამ მაჩვენებლით საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი ადგილი გვიჭირავს. საქართველოს ტყის ფონდის საერთო ფართობი 3 მილიონ 100 ათასი ჰექტარია. აქედან სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებს 2 მილიონ 470 ათასი ჰექტარი უკავია, ხოლო დანარჩენი — საკოლმეურნეო ტყეებს.

ტყეების დათვალიერება ღონისძიებაა, რომელიც ეროვნულ მეურნეობას ეწყობა. საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებით შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბერ ალენსის „ბოლშევიკის გადაწყვეტილებებს და „სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში დასახულ ამოცანათა გადაწყვეტას.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მრავალთასპიანი კოლექტივი დაუცხრომლად შრომობს „საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის, ტყეების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შარშანდელი დადგენილების განხორციელებისათვის. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის სატყეო მეურნეობებმა წარმატებით გაართვეს თავი 1978 წლის 7 თვის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვეს.

ტყეების დათვალიერების ძირითადი მიზანია ადგილებზე შეამოწმონ სატყეო მეურნეობებმა, თუ როგორ არის ორგანიზებული ტყეების მოვლა-დაცვის, ტყის გაშენების, ტყეების ექსპლოატაციის, მერქნის — რაციონალური გამოყენებისა და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების საქმე.

დათვალიერება მასობრივი შემოწმების ხასიათს უნდა ატარებდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნაკლოვანებათა გამოვლენას, რომლებიც ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა სატყეო მეურნეობების საქმიანობაში და დისიპლინის მათი უახლოეს პერიოდში გამოსწორების კონკრეტული გზები.

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ტყეების დაცვას უკანონო კაფეთისაგან, მავნებელ-დაავადებებისაგან, განსაკუთრებით ტ ხანძრებისაგან, რომელთა გაჩენის საშიშროება ცხელი ამინდების გამო ამჟამად ძალზე დიდია. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ტყეებში ხანძრების შემთხვევათა 90-95 პროცენტი ადამიანის უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის შედეგია (ჩაუქრალი ასანთისა და პაპიროსის ნამწვის გადაგდება, კოცონის დატოვება და სხვა). ამიტომ არსებითი უფრადღება უნდა დაეთმოს იმას, თუ როგორ არის დაყენებული მშრომელთა ფარული მასებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ტყეების ხანძარსაშიშროების წესების დაცვისა და ხანძრის თავიდან აცილების პროფილაქტიკური ღონისძიებების ტროპაგანდის საქმე.

ტყეების დათვალიერებისას სატყეო მეურნეობის საქმიანობის შემოწმების ძირითად ქვაკუთხედად მიჩნეული უნდა იყოს ის, თუ როგორ მუშაობენ ისინი ტყეების გონივრული ექსპლოატაციისა და ახალი ტყეების გაშენების წესების დაცვის უზრუნველსაყოფად, სწორედ არის თუ არა გამოყოფილი ტყესაკაფები და როგორია მათი ათვისების მდგომარეობა, ხომ ხდება გაჩეხვის შედეგად ტყეების გამეჩხერიანება, როგორ ეწყობა ტყის მოვლითი და სანიტარული კაფვა, საღი ხეების მოჭრისა და გადაბერებული, მსხვილი ზომის ხეების დატოვების შემთხვევები, სრულდება თუ არა ძირფესვი ტყის ჯიშების თესლის დამზადების, ფერეფვი ტყის კულტურების მოვლის გეგმები, როგორია გაშენებული ტყის კულტურების შენარჩუნება-გაზრდის მაჩვენებლები, სწორად არის თუ არა შერჩეული ნიადაგები ტყეების გაშენებისათვის, რა მდგომარეობაშია კაკალნაყოფიანი (კაკალი, თხილი, ნუში) და თუთის კორომები, როგორ სრულდება ტყის ჯიშთა მყნობის დაკვალებები და ა. შ.

შეგროვებული მასალა ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, დამნაშავეთა წინააღმდეგ უნდა მივიღოთ მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

უდავოა, რომ ტყეების რესპუბლიკური დათვალიერება ხელს შეუწყობს სატყეო მეურნეობის ორგანოების მუშაობას, მათ საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოფხვრას, რაც თვალსაჩინო წვლილი იქნება ჩვენი ბუნების საუნჯის ტყეების მოვლის, დაცვის, გამრავლებისა და პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

გ. გიგაური,
სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე.

საბჭოლო მეურნეობა—დამკვრელური შვენ

ტემპი უნდა გაძლიერდეს

სახელმწიფო, ხალხი ანდობენ მასწავლებლებს ბავშვებს — ჩვენს მომავალს. მოსწავლეთა აღზრდა რომ სათანადოდ — თანამედროვე მოთხოვნათა მიხედვით წარიმართოს, საჭიროა ყოველ მატერიალური ბაზა. გეგეჭკორის რაიონში ამას სათანადო ყურადღება ექცევა. სოფლებს ემატება ახალი კაპიტალური სასკოლო შენობები.

სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის გეგეჭკორის № 47 კოლონა სოფელ ლეწინდრაოში აშენებს საშუალო სკოლის შენობას 354 მოსწავლისათვის. ეს სამსართულიანი შენობა სოფლის ნამდვილი მშვენება იქნება. იგი წლეულს სასექტემბროდ უნდა დამთავრდეს. როგორც სამუშაოთა მწარმოებელმა ი. ჭაჭუამ გვითხრა, მშენებლობის დაწყებიდან (გასული წლის ნოემბერი) დღემდე შესრულებულია 260 ათას მანეთამდე სამუშაო. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დახმარება, რომელსაც სკოლის (დირექტორი — ვ. დანელია) კოლექტივი უწევს მშენებლებს. ტრესტიც (მმართველი — გ. გაბისონია) ზრუნავს ამ დაკვრელურ მშენებლობაზე, რომელსაც დრო და გრაფიკი შემჭიდროებული აქვს. ყოველდღიურად აქ 30-40 კაცი — მომპირკეთებელი, მებათქაშე, მემონტაჟე შრომობს, მაგრამ ტემპი მაინც არ არის ისეთი, როგორიც საჭიროა. აკლიათ საიატაკე მასალაც, არა აქვთ მინები, უხარისხოა გორის ხის დამუშავებული კომბინატის მიერ მოწოდებული კარების ჩარჩოები, რომელთა სისქე 5X8 სანტიმეტრია. ჯერაც გაურკვეველია, სად იშვიან ინ ისეთი დიდი ზომის ფანჯრების მინებს, სკოლის კედლებს რომ სჭირდება. ესეც რომ არ იყოს, ქარიან დღეს მათი ტარი ნაწილი, ალბათ, ჩაიმტვრევა.

სასკოლო შენობას ჩვეულებრივი სახურავი ექნება, სპორტულ დარბაზს კი ბრტყელი სახურავი გაუკეთდება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ „ბრტყელი გადახურვა“ დასავლეთ საქართველოს პირობებში, სადაც დიდი ატმოსფერული ნალექები იცის, მიზანს ვერ ამართლებს. ეს პრაქტიკითაც დადასტურებულია. ამის შემდეგ გაუგებარია სპეროექტო ორგანიზაციის კონსერვატორობა ამ საქმეში. ეფექტებელია ამ ნაკლის გამოსწორება.

... ვეუბნით მეორე სკოლის — ზემო ნაგვაზაოს საშუალო სკოლის მშენებლობაზე, რომელსაც სტალინის სახელობის კოლეუტრნეობის სახსრებით აწარმოებს გეგეჭკორის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭო. ჩვენთან ერთად იყო ამ საბჭოს მთავარი ინჟინერი ი. ხელია. ამ მშენებლობაზე „კომუნისტშიც“ ჯერ კიდევ 1976 წლის 20 ივლისს გვრწმდა, რომ გათვალისწინებული იყო მისი მშენებლობის დაწყება. მაშინ მას საძირკველი ეყრებოდა. ორ წელიწადში, როგორც იქნა, ორი სართული ამაშენდა. ახლა მასზე დაწყობილია ბეტონის კონსტრუქციები, მალე გადახურავენ კიდეც. თუ ბრტყელი გადახურვა განხორციელდა, მშენებლებს 10 ტონა სიმძლავრის ავტოამწე დასჭირდებათ. ყოველდღიურად 20-30 მუშახელის ნაცვლად ბეჯრად ნაკლები ჰყავთ, რის გამოც მუშაობის ტემპი დაბალია.

ზემო ნაგვაზაოს საშუალო სკოლა (464 მოსწავლისათვის) წლეულს მეოთხე კვარტალში უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. საჭიროა ყველფერი ვიღონოთ, რათა უფრო გაძლიერდეს მშენებლობის ტემპი, რომ ბევრ სკოლაში დაირეკოს სამბრ ვლესექტემბრო ზარი.

გ. მილიუტინი.
„კომუნისტის“ სპ. კორ.
გეგეჭკორის რაიონი.

ს

„კომუნისტის“ ქალენდარი

„როცა წიგნი ხალხებს აახლოებს“

ბი წელი. შეუსრულდა მარკ ზლატკინს — ლიტერატორს, რედაქტორ-გამომცემელს და საზოგადო მოღვაწეს. მაგრამ, მიუხედავად ამ სიგრძნობი ასაკისა, იგი დღესაც, მისთვის, ჩვეშმარიტად ამოუწურავი ენერგიით განაგრძობს თავის საყვარელ საქმეს — ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის რუსულ ენაზე გამოცემისა და მთელ ჩვენს დიდ ქვეყანაში მისი პროპაგანდის საქმეს.

მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე იქსახურება იგი ამ კეთილშობილ საქმეს, ოცამდე წელიწადს დასასრულიდან. როცა საძირკველი ეყრებოდა საბჭოთა ერეშირის ხალხთა ეროვნული და რუსული ლიტერატურის ახლებურ ურთიერთობას, ლიტერატურათა ურთიერთდაახლოების, ურთიერთგამდიდრების გეგმიურ, სისტემატურ პროცესს.

ამ საქმეში, მწერლებთან და მთარგმნელებთან ერთად, დიდი როლი შესასრულეს გამომცემლობებმა, მათ შორის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“, რომელს ერთ-ერთი მთავარი მესვეურიც იმთავითვე იყო მარკ ზლატკინი. იგი ამ, ჩვეშმარიტად ისტორიული ლიტერატურული პროცესის ავტორი მონაწილეა, ამ საქმის სათავეებთან დგას.

თავისი დაბადების 75-ე წლისთავზე მარკ ზლატკინმა დაწერა და საბჭოთა ქვეყნის ფართო მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა საინტერესო ნაწარმოები: „როცა წიგნი ხალხებს აახლოებს“. ეს ნაწარმოები, ისტორიაც არის, გამოკვლევა-მონოგრაფიაც და ცოცხალი საუბარიც იმის თაობაზე, თუ როგორ დაიწყო ეს პროცესი ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში; თუ როგორ შეესხა ფრთები ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენი, ქართული მხატვრული მწერლობის ეროვნული ხასიათი; თუ როგორ ეროვნული შესასრულეს ამ პროცესში ქართველი ინტელიგენციის, ალექსანდრე ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლ